

ଫର୍ମର୍ଦ୍ଦ

ବ୍ୟାଙ୍ଗନଧର୍ମପାତ୍ରଙ୍କରଣ ହାମାତ୍ରେବା

ପ୍ରକାଶନ ନଂ 46.

ପ୍ରକାଶନ ନଂ 28 ତାରିଖ 1910 ଫ୍ରେଡିନ୍‌ଦିନ

ପ୍ରକାଶନ ନଂ 9



გერმანიის მინისტრი

(ნაშროვი წარსულისა)

ლალუა და მისი მეუღლე ლალუა გიუბერაშვილები სცხოვ-
რობდნენ ერთ ერთ მივარდნილ კუთხეში, ერთ მივარდნილ
ჰატარა ქალაქში. იმათი სადგომი, ათ ადლზე მოთავსებული
აღინის სახლი, ჰატარა იყო და დაჩრდილული, ნოტიო იმ
ციხის კედლით, რომლის საძირკველზეაც ჩიტის ბუდესა-
ვით იყო მიკრული.



1887 წელი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მეთაური. წელს ბებელი 70 წლისა
შესრულდა. გერმანიის ს.-დემოკრატიამ დიდის ამით იდენტურულა-
ეს იუბილე.

ჩრდილი და სინოტი ხელს არ უშლიდა ლალუა-ლა-
ლუას დღეგრძელობას, ერთიც და მეორეც კარგა დიდი
ხნისანი იყვნენ და ჯანსაღათ გამოიყურებოდნენ.

ამათი ორ სართულიანი აღინის სახლი, ქართულს ძვე-
ლებურის ბანით, აგერ სამოცი წელიწადია სდგას და იმ
კლდესავით მკილრია, რომელზედაც ციხეა აგებული. მაგრა
სდგას და ყოველ ზეციურ მრისხანებას—წვიმს, თოვლს, ქა-
რიშხალს—ძალათაც არ აგდებს.

ისც მართალია, რომ ამ შესანიშნავ შენობას აღმო-
სავლეთის კედელი თავით ბოლომდე გაბზარული აქვს, მაგ-
რამ ეს გაბზარული კედელი აგერ ოცდა ათი წელიწადია
ასე გაბზარულია და შიგ მდგომ ლალუა-ლალუას სრულე-
ბითაც ძილს არ უფოროს.

პირიქით ამ აღინის სახლის სიყვარული და ფარგზი ამ
ცოლქმარისაგან გასაოცარია. ყოველ შემოღვიმას ლალუაც
და ლალუაც ფთხილად, კანკალ-ცახკანით, ისე როგორც
იმათ ხნიერებას შეეფერებოდა, მიღიოდნენ ჰატარა კიბით
ბანზედ, ჰატეჯადნენ ბალახს, სტკეპნიდნენ აჩიქნილ მიწას,
განგებ ამისთვის გაკეთებულ ქვის საგორავით, უკეთებლენ
აფალას, ასუფთავებდნენ წყლის სადენ თხის მილებს, ამაგ-
რებდნენ ლაბიერებს და ისე გატკეცილს და დამზადებულს
უხველებდნენ ზამთრის ამინდებს. რასაკვირველია, არც სა-
ძირკველს აკლებდნენ თავიანთ მზრუნველობას. სახლის გარ-
შემო კარგი ღრმა ხვრელი იყო შემოთხოვილი, რომლითაც

ბანიდან ჩამოსული წვიმის წყალი ქუჩაში გადიოდა და სა-
ძირკველს არ აზიანებდა. ამ ხვრელებს კი მარტო ღალუა
ჰატრონებდა.

— ეს დედა კაცის საქმე არ არის. ბარი და ნიჩაბი
ქალს ხელში არ მიცემება! — იტყოდა ხოლმე ლალუა.

ლალუავე ამაგრებდა აგრეთვე ჰატარა ბალკონის დაფერ-
ხვილ კიბეს, სახლის კარ-ფანჯრის რაზა-კოჭაკაცაც. შიგნი-
დან სახლს კი რა გაკეთება უნდოდა, იქ ვინ რას გააფუ-
ჭებდა, სუვერენიტეტი ხელ უხლებლად დაცულია, ერთი
ლურსანიც არის არის მიკრული მას აქეთ, რაც ლალუას
ეს სახლი მზითვად მოჰყვა და რითაც ლალუა დიდათ ამა-
ყობს.

— ეს სახლი რომ არა გვერდინდა, — ხშირად ეუბნება
ლალუა თავის მეუღლეს, — ხომ აქეთ-იქით უნდა გვეწან-
წალნა? ხან ვის უნდა შევკედლებოდით და ხან ვის, ხან
ვისთვის უნდა გველოლიავნა და ხან ვისთვის, რომ ქირის
თხოვნით ფეხები არ ებრაგუნებინათ. ეხლა კი ორმოცდა რვა
წელიწადია ერთ ალაგასა ვდგვივართ, გადასვლა-გადმოსვლა-
ში ერთი ჯამი არ გაგვტეხია, ერთი ვეჯისთვის ბინა არ
შევიცვლია; ყველაფერი თავთავის ალაგას არის. ჩემ სარ-
დაფუა რომ ჩაისელოს ადამიანმა, ათასის წლის მოწყობილი
ოჯახი ეგონება: ყველის ქილები, ერბოსი, წნილის ჯარი-
ვით არიან კედლებთან ჩამწკრივებულები, კართოფილის ორ-
მო, ჭარხლისა, სტაფილისი წლითი-წლობითმზა მზარეულია
არის გაწყობილი. შემოდგომაზე საზრდოს ჩავითოთ, გაზა-
ფხულამდე დაცარიელდება, შემოდგომაზე კიდევ ჩავირით.
ფქვილის „ანბარი“ სწორედ იმ თახაზეარის გამოჭრილი, რო-
მელშიაც აგერ სამოცი წელიწადია სდგას და სდგას, ჯერ
ისევ პაპიჩემის გარსუას გაკეთებულია, ხუთი საცილო ფქვა-
ლი ჩადის და წლის წლობამდე გვყოფნის კიდევ. იმ ჩემი
მზითვის „ზანდუკი“ ისე პკყვრიალებს, ფოთლები ისე უპრი-
ალებს, თითქო გუშინ მოუტანიათ ჰავლაბრის ქარვასლიდა-
ნაო. გადატან-გადმოტანა რო ყოფილიყო, განა ასე იქნე-
ბოდა?

ასეთსავე თავმომწონეობით მოუთხოობდა ხოლმე ლა-
ლუა ამავე ამბავს თავის მდგმურს ხანფერანს, თავისავით
მოხუცებულს და ერთად-ერთ მტერ-მოყვარეს. ხანფერამ ზე-
პირად იცოდა ყველა ეს გარემობა, მაგრამ ლალუას სიტ-
ყვას არ აწყვეტინებდა.

— რა პქნას, ქა, მაშ რა სთქვას? პირი დაუობდება
სიჩუმით და სხვა საგანი რა აქვს სალაპარაკო? სხვა რას
პხედავს, სხვა რა ესმის? ეგ არს და თავისი თოხი აღინის
კედელი.

დიახ ლალუას მთელ თავის სიცოცხლეში არა უნახავს-
რა გარდა თავის აღინის სადგომისა და არც არა უნდოდა-
რა ენახა. ოჯახი, ოჯახის მოელა-პატრონობა ერთად-ერთი
ხვედრი იყო ლალუებისა და ისინიც ამ დაცვის და მოვლის
რელიგიურის სიწმინდით ასრულებდნენ.

ლამაზი, გონებას არ მოკლებული დედა-კაცი მთელ
ორმოცდა რვა წელიწადს მხოლოდ თავის ბუნაგის გაფრ-
თხილებას, თავის კუჭის ლოლიობას უნდებოდა. ადექი, და-
გავე, დაწმინდე, გაბერტყე, გარეცხე, მოხარშე, — ი დიდი
მოვალეობა, დიდი ზენობრივი ვალდებულება, რომელსაც
მეუღლეობა ივალებდა დედა-კაცს და ლალუაც, როგორც
ერთი საკუეთესო წარმომადგენელი იმ ღრინდელის დედა-
კაცობისა, შესანიშნავ ტიპს წარმოადგენდა.

მთელი დღე სახლში ფუსფუსებდა, თაროებს ინდაურის
შეკრული ფთხებით გადმოჰვიდა, ძველის-ძველიად შეძენილ
ჩინურ ჭურჭელს გასწმენდა და ისევ თახის კუჭულში მი-
მაღავდა. ლამაზის ჩუქურთმებით შემკულ ლანგრებს, თუშ-
ფალანგს, ბალიებს, ფლავის ქვაბს, ტაფას დათვალიერებდა

და ისევ ტახტის ქვეშ, ფარდა ჩამოფარებულ ტახტის ქვეშ, შეაწყობდა. ყოველ დღიურ სახმარებლად ლალუას მხოლოდ ერთი პატარა თიხის კოშკი ჰქონდა და საღილის სამზა-დისთვის მარტო იმასა ხმარობდა. მერე ქეჩა ხალიჩს გადმო-ჰგვიდა, ტახტის თავისა და ბოლოს დაწყობილ მუთაქებს გაბერტყავდა, გაბერტყავდა აგრეთვე პატარა ფანჯრებზედ თეთრ ფარდებს და დიდებას შინჯავდა მაზედ მოკერებულ წვრილ ნაქსოვ არშია:

— ჰე, ჰი! — ამოიოხებდა და იტყოდა: — აი თუ მეც ქალი ვიყავი და ხელ საქმეც მეხალისებოდა! ეხლა კი ნევ-სხედ ძაფსაც ველარ ვაგებ!

ხანდი-ხან წელიწადში ორჯელ-სამჯერ „ზანდუქსაც“ ამოალაგებდა და იქ ჩაწყობილ ფართალის გაამზევებდა. ორ უბიანი წითელი ქირმანის შალი, მირალიან ოჯახის სიამაყე, ლალუას მზითვად მოყოლალი, თუმცა აქა-იქ, დიდიხნის ზან-დუქში დებით, დაჩრჩილული იყო, მაინც მშვენიერი რამ იყო, ნამდვილი ქირმანი, ნაზი და მკვიდრი, კალმის ნახატი-ვით შეხამებული მშვენიერის ფერადებით.

— ეს უნდა ჩვენმა ტერტერამ ჩემ კოლოპურტად წაილოს! მერე ვინ უნდა გააფრიალოს მირალიან სამასი წლის ნაქონი მშვენიერება! — კვლავ ამოიოხებდა ლალუა და მზეს მიუშვერდა თავის საუნჯეს. მერე მაღარფექის, პა-რიზიდან მოჭანილ, ჩადრს გაშლილა და ნაკეცებს შეუცვლი-და, რომ არ დამტვრეულიყო.

— ეს ჩემი სუდარაა, უნდა ამ ჩადრში გამახვიონ და კუბოში ისე ჩამდონ, დედი ჩემის ნანუას ნაქონია. მე კი ვიღას გადავცემ... ერთი ქალი მაინც გამჩენდა... მაგრამ უნდა უკეთ იცი, უფალო! იქნება ლირსი არ ვიყავ შენის მოწ-ყალებისა! — და სასოებით შექხედავდა თავის გამჭვარტლულ ქერს, რომლის ზემოდაც ლალუას უფალი ეგულებოდა.

მერე სიასამურ ქამოკრულ ატლასის ქათიბს გაშლილა, გაბერტყავდა, გასწმენდა და ახლა იმის ბიოგრაფიას გაიხს-ნებდა.

— ეს ბანოში ატლასი პაპიჩემის მამას ტერ-ყაზარას კოსტანტილ-პოლიდან მოუტანია ცოლისთვის, როდესაც ტერ-ყაზარა ეკლესიის საქმებისთვის გაუგზავნიათ პატრიარქ-თან. ნეტა იმ გულმკვდარმა ხალხმა, რად გადააგდო მოდა ქათიბის ტარებაზე? უკეთესი განა რა უნდა ჩაიცვან? რაღაც „კლოკები“, „კაზაკინები“ „კირასები“, ნეტა რას გვანან? რად ლირდა ერთი ქათიბის სახელის აღებ-დაღება ლეკურის თა-მაშობაში! რა სინაზით, კეკლუცობით მივიფარებდი ხოლმე სახეზე ქათიბის ყოშს სიასამურ მოკერებულს და ქვეშიდან კი ხალხს ვათვალიერებდი, მოსწონთ ჩემი თამაში თუ არა მეტქი... აი, მწვანე სახის კაბა, ესეც თურმე ნამდვილი ინ-გლისურაა. აბა ახლა წამოაყენონ ამისთანა ფარჩა! ეხლან-დელი ყველაფერი ყალბი და დამპალია, ორი დღის საზრდო...

ესე ალაგებდა და ჰუნდა მზეზე ლალუა თავის ნამ-ჩითვს და მეგვიდრეობით გადმოცემელ საუნჯეს და სტკე-ბოდა მოგონებით ერთ დიდმარხების მყუდრო მზიან დღეს.

— სუფრა გაშლილი არა გაქვს? შუა დღეა, წირვა რა-ცახანია გამოვიდა! — საკვედურით და, ცოტა არ იყოს, ბძა-ნების კილოთი დაარღვია ლალუას ბაასი წარსულთან იმისმა დარბაისელმა თანამეტკედრემ დალუამ.

— უი ქა, მოხველი კიდევც! მე კი სკივრის გამომ-ზევებაში დღე გამომეპარა! — და დანაშაულის გასასწორებ-ლად საჩქაროდ გადაშალა ტახტზე ლურჯი სუფრა, ზედ ორი ქაზანურის ჯამი დასდგა, ორი ჩალის კოვზი, ნახევარი ზური, თეფუშით მწვანილი, ლობიოს კირკაუი, კომბოსტოს წნილი, სისველისაგან გაშავებული, ქსნის ხევის თიხის ჩარე-ქით დფინო და ბოლოს თავის პატარა კოჭბით ლობიო შე-ჭამინდი, რომელსაც თითონაც გვერდით მოუჯდა.

— ტერ ასტვაც! ტერ ასტვაც! — წაიღუდუნა ღალუამ, მაღალი ძველებური კალმუხის ქუდი მოიხადა, შავი მაუდის კაბის სახლები მხარზე აიკეცა, ულვაშები გადიგრიხა, მერე ჯიბიდან ლურჯი თეთრ-წინწკლებიანი ხელცახოცი ამოილო, მუხლებზე გადიფარა და ისიც სუფრას მოუჯდა ლალუას პირდაპირ.

ცოლქმარნი დინჯად და დარბაისლად შეეჭყოდნენ ღვთის მოწყალებას.

— რა გემრიელია დღეს ეს ლობიო, — სთქვა ღალომ, როცა, პირამდის სავსე, ჩიყრილ-ჩაბუებულებული ჯამი მოლო-კა. — ზარბაბს არ ჩამოუვარდება!

— ერთი წყლით არის მოხარული; სულ ნება-ნება ნაღულია. განა არ იცი, ლალუას მოხარულ უაბიოს რა გემო აქვს! მთელ საქართველოში გათქმულია! ხვალ შაბა-თია და ზარბაბით მოგიხარშავ.

ხანდიხან, როცა ლალუა ქეითზე იყო, ამ მშვენიერ სა-დილს დესერტსაც მიუმატებდა ხოლმე, ახალ წლიდან გადარ-ჩნილ სამკვლეულს: ქიშმიშ-ლაბლაბოს, აღჯანაბათს, ინდი-ხურმას, ფუატს, ჩამის. ყველა ეს სანოვაგე, რასაკვირვე-ლია მისხლობით იყო მირთმებული, მაგრამ ხომიერება ლა-ლუა-ლალუასთვის ყველაფერში ქეშმარიტებად იყო აღიარე-ბული და არსაღ და არასდროს არ უდალატნია ამ ზომიერე-ბისთვის. ძილი რა არის ძილი, ისიც კი გაზომილი ჰქონდათ ლალუა-ლალუას.

— დილის ძილი კაცის ჯანის მკველელია! — იტყოდა ხოლმე ღალუა და ყოველთვის, ბავშვობიდან სიბერემდე, მამლის ყივილისას სდგებოდა.

— შუა დღის ძილი შემრგაო, იდრე ლაძინება ქუის მოსვენებაა. სანთელი რად უნდა დაიწვას, როცა სიბნელე ღმერთს ძილისთვის გაუჩენია!

ამ ცხოვრების ფილოსოფიით გამსჭვალული ცოლ-ქმა-რნი სცხოვრებდნენ და სცხოვრებდნენ. ქვეყანა და ქვეყნის ბრუნვა არაფერ ცვლილებას არ ახდენდა ამათ სიცოცხლე-ში. ღლევანდელი დღე ისე ჰგავდა გუშინდელს, როგორც შარშანდელი წლევანდელს.

მარტო წელიწადში ორჯელ, ნათლილება — აღდგომას ტერ-ყაზარა, ამითი მოძღვარი, თავის დიაკვნით, არუთინათი, შეაღებდა ხოლმე მათ კარებს: ასხურებდა იაზმის წყლით კედლებს, აკურთხებდა და აკოცინებდა ჯვარსა და სახარე-ბაზე ლალუა-ლალუას, მუშტრის თვალით გადაათვალიერებდა კედლებზე ჩამოკიდებულ მელის ტყავ გამოკრულ ღალუას ქურაქს, სუბინ გადაფარებულ ტახტის ბოლოზე მიღაებულ სუფთა ლოგინს, საკოლოპურტოს *) და ირ უზანთულით მუჭაში გავლილა კარებს. ეს იყო და ეს მოელი გიზერიანთ მიმსვლელ-წამსვლელი. მეზობელი ხამფერაც კი არსაღ მიუ-წვევია ლალუას ქიქა ჩაიზედ, რომელსაც, მართალი რო სთქვას კაცმა, როგორც ყოველ გვარ ახალ შემოღებულს, თითონაც იშვიათად მიირთმებდნენ; თუმცა სამოვარი, ყო-ველთვის გაპრიალებული, დიდის რიხით იყო გამოდგმული სახლის საუკეთესო ალაგას, სტოლზე, ძველებურ — ფეხებიან სარკის გვერდით, მაგრამ იშვიათად აწუხებდნენ ხმარებით ამ ძირფას საუნჯეს.

კნიაზი ოთარი, კნიაზი გიორგი და სხვა მჩავალი კნიაზ-აზნაურნი, რომელთაც ღალუასთან ნისიების საქმები ჰქონ-დათ, ყოველ დამკიდებულებებას შუა ბაზრის კუთხეში სად-მე აკეთებდნენ. ან თუ რამე მიზეზით „სარგებელი“ დაი-გვიანებდა ვისგანმე, ღალუა თვითონ მიადგებოდა კარზე და თავის საზრდოს კნიაზებისავე ურმით შინ წამილებდა და

*) სომხის მღვდლები კოლოპურტის ეძახიან იმ ტანისამოსს და ლოგინს, რომელიც მრევლის სიკვდილის შემდეგ იმათ ხელში გადადის.

რას არ წარიღებდა ხოლმე დაღო ამ ურემით: პურიო, ლობიო, სიმინდიო ქათბებისთვის; ეს გორაო, ეს კოშიო, კომბოსტო და სხვა ათას რამეს. ცოცხი რა არის; ცოცხი, ცოცხსაც კი გამოსთხოვდა ხოლმე კნიაზების გამდლებს.

— ოჯახში ყველაფერი საჭიროა, ყველაფერში ფული უნდა გაიღო ქალაქ ალაგის მცხოვრებმა და აქ კი, დალო-ცვილებო, ყველაფერი მუქთათა გაქვთ, ციდამ გიცვივათ რაღა

თუმცა ლალუა და ლალუა არავის ეკარებოდნენ, არც არავის თავის ოჯახს აკარებდნენ, მაგრამ როცა ათასში ერთხელ მოუხდებოდათ ხალხში გარევა, მაგალითად, ნათლი-ლება-ალდგომას წირვა ლოცვაზე წასელა, თავიანთ მოქალა-ქობის ესტიბარს არ იტენენ. უოველთვის იმ რანგში ჩაღ-გებოდნენ, რომელიც უამთა ვითარებით მინიჭებული ჰქონ-დათ და რომელსაც ისეთივე ერთგულებით იცავდნენ, რო-გორც სხვა უოველ თავის საკუთრებას

— ლექაქის ჰარშია მინდა საალდგომოთ. — იტყოდა ლალუა.

— ჰარშია? რად გინდა ჰარშია? უმაშვილი ხომ აღარა ხარ. უარშიოთაც კარგი წახედა წირვაზე!


— უი ქა, რას ამოფ, ალაჯან! უარშიოთ რა, მელო-რის ცოლი ხომ არა ვარ. მოქალაქე გიუბეროვის მეულლე და უარშიოთ! ეხლა ხომ ჩადრები აღარ გვასხია, კლოკებ-ზედ ლექაქებია გადაშლილი. მერე ჩემ გვერდით სუფნიშანში ტერ-ყაზარას ცოლი სდგას, მეორე გვერდით ოპანეზა ზარა-ფისა. ახლა უნდა ნახო, რა რიგათ ცვიათ, რა ჰარშიები აქვთ მოვლებული! უკანასკნელი ვინმე ხომ არა ვარ, რო ეკლესიაში უკანა კედელს ავეტუზო; ჩემი ალაგი მისხის მის-ხიდამ გადმოსულა ჩემზე. ბებია ჩემის ლალუას მემკვიდრეობა. ხალიჩა და დაშაკიც კი ისევ იმისეულია. სხვა ქვეყნიდ-გან ბოგანოთ ხომ არა ვარ მოსული. ჩემი დედეულ-მამეულთ ოჯახი ექვსასი წელიწადია მატრაპაზეულის მემკვიდრეებით ითვლება.

— ოჳ, ოჳ! კარგი, ზახლა ნუ წაიღე შენის გვარეულობით! ეხლა მე რომ ახალი გადმოსული ვიყავ ერზრუმიდ-გან, ამიტომ არ წამამყვანი უარი რატო არ მითხარი?

— უარი რატო არ გითხარი? მერე მე ვინა მკითხა? მამა ჩემთა და დედა ჩემთა მხითევი ისე შემიკერეს, რო არც კი მითხრეს, ვიზედ მათხოვებდნენ. მარტო სუფსარექი-სის ნავაკატზედ გამიმხილეს: „ხეალ ჩვენ მეზობელ ბაზას ლალუას უნდა მიგათხოვოთ“.

— მერე, ვითომ შენ უარი ჰქენ? — ეშმაკურათ გაიღიმა რალუამ, თუმცა ძრიელ კარგად იცოდა, რა პასუხსაც მიიღებდა.

— დალუას მეთქი? იმ გადმოთხეულ კრუას მეთქი? დავილრიალე, მაგრამ მამა ჩემთა ისეთი დამიბლვირა, რომ კინალამ მიწაში არ ჩავდევრი. დედამ კი მიალერსა და მითხარი: „სუ, სუ გეთაყვანე, ნუ იტირებ, თვალებს ნუ დაისიებ, მერი გზა არ არისო! ქალის ხვედრი აგეთია!..



— მერე ბევრი იზარალე? კარგი ქმარის არა გრძელებული? ორმოცდა რვა წელიწადია სულ იმას ვზრუნველებული არა დააკლდეს რა მეთქი... როგორი ჰარშია გინდა? შენ სიგანე და სახე მითხარ და ბაზას გრიგოლას მე მოურიგდები. ერთი-ორი გროში კიდევ ჰყავის იმაზე ჩემი.

— გაშ შენი პერანგის გულის პირისთვის ერთი არშინი ლურჯი შავიც მოაჭრევინე, ორი არშინი შავი ზონარიც.

— შავი? უჲ, ახლანდელი შავი განა სასყიდელია: ექვს თვეს არ გიძლებს. მე რო საქორწილოთ შეიღიში შევიკერებ, გახსოვს, აქ მატრაბაზე ელში იყო მოქსვილი, ოცდა ხუთი წელიწადი ვატარე. არც ფერი და არც შენ არ დაპარაგვა, სულ შახიშუხა გაჭქონდა. ეხლანდელი დრო სულ ზართი-ფურთია, სიმტკიცე აღარაფერში არ არს!

— მეც მაგას არ ვამოფ, ეხლა ჩემ სარის კბას როვშინჯავ, მართლა რომ ფარჩა კი არა, ხარის ტყავია.

ასე ტკბილად შეთანხმდებოდნენ მეულლენი და აღდგო-მა დღეს ლაზათიანად მოკაზმულნი თავთავიანთ ალაგას გა-მოიჭიმებოდნენ ეკლესიაში.

მაგრამ შეუცვლელი არა არის რა ამ ცოდვილ ქვეყა-ნაზე და ერთ მშვენიერ გაზაფხულის დღეს, ლალუა-ლუას შეურყეველი, მკვიდრი თჯახიც შეირყა და მალე ბო-ლოც მოეღო.

ლალუამ ვაშამზე ბევრი თარის დოში ჭამა, ზედ თრიოდ სტაქანი მატრაბაზელი ღვინოც გადახუხა და ვეღარ მოინელა, გულზედ ჯდომი მოაწვა.

— აღაჯან, მე ვკვდები, ვკვდები... შენ კარგად იყავი... — გალურჯებული და ცახეცახებული ეუბნეოდა ის თავ-ზარდაცემულ ლალოს: — ი, ეს სკივრის გასაღები, განჯინი-სა... ჯიბეში ჩიდე... ტერ-ყაზარას ქირმანის შალს ნუ მის-ცემ... ვაი... ვაი... აღაჯან... აღაჯან... ზარბაბს ლობიოს... აქ სიმწარით გააურეოლა ლალუას, სამუდამოდ ენა ჩაუვარდა, ლალუას მეულლე მოეშალა.

ლალუა გაშა. ყოველი მოსაზრება და რაღაც გამოურკვევლობამ შეიძყრო. თავზედ ქუდ ჩამოფხატული, კაბის სახლებში ხელებ გაყოფილი, წვერ მოუპარსავი, იგი ერთ თავად ტახტზე მოკეცილი იჯდა და თითებზედ რაღაცას ითვლიდა. სკივრის, თახის, მარნის გასაღები ვინ ჩაი-დო ხელში, არც კი შეუნიშნავ. იმის სახლს ათასი პატრო-ნი გამოუჩნდა. იმის წლით-წლიობით დაზოგვილი და შენა-ხული ქირმა წაიღეს, და ლალუასთან ერთად იმისი ოჯახის სამოსელიც ჩაქრა და ლალუაც სიბნელემ მოიცვა.

ეკ. გაბაშვილი.



ციფრების განახლება:

ტფილისის მცხოვრები: სომხები (35%), ქართველი (30%) და რუსები (20%).

მოხელე-მოსამსახურენი ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობაში: სომხები (75%), რუსები (10%) და ქართველები (8%).